

შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                                            | <b>31.12.2023</b> | <b>31.12.2022</b> | <b>31.12.2021</b> |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                                                   | 1508327           | 916499            | 616026            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                                              | 763734            | 1323762           | 1175133           |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                                             | 756864            | 87401             | 56868             |
| <b>მარაგები</b>                                                                                                         | <b>247</b>        | <b>35245</b>      | <b>525</b>        |
| სხვა                                                                                                                    | 247               | 35245             | 525               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                                                                                    | 11637             | 1612              | 1935              |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                                                     | <b>3040809</b>    | <b>2364519</b>    | <b>1850487</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                                    |                   |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                                                   | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                                                      | 0                 | 0                 | 0                 |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                                                | <b>0</b>          | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                                                |                   |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი)) | 3759              | 3759              | 3759              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                                            | <b>3040809</b>    | <b>2364519</b>    | <b>1850487</b>    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                                                           | <b>3040809</b>    | <b>2364519</b>    | <b>1850487</b>    |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                                                        | <b>3029172</b>    | <b>2362907</b>    | <b>1848552</b>    |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                                                                   | <b>0</b>          | <b>0</b>          | <b>0</b>          |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                              | <b>31.12.2023</b> | <b>31.12.2022</b> |
|--------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნეტო ამონაგები                                                           | 2535960           | 3186184           |
| საქონლის გაყიდვიდან                                                      | 2535960           | 3186184           |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                | -1704286          | -2488535          |
| <b>საერთო მოგება</b>                                                     | <b>831674</b>     | <b>697649</b>     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 | -237941           | -173929           |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                               | -323              | -323              |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 | -35932            | -24541            |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                            | <b>-274196</b>    | <b>-198793</b>    |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                 | <b>557478</b>     | <b>498856</b>     |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                   |                   |                   |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  | 118812            | 15176             |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 676290            | 514032            |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                            | <b>676290</b>     | <b>514032</b>     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |                   |                   |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | 676290            | 514032            |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 2364519           | 1850487           |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                           | 0                 | 0                 |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                    | <b>3040809</b>    | <b>2364519</b>    |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ნექსტრა გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                | <b>31.12.2023</b> | <b>31.12.2022</b> |
|---------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ. | 608476            | 447767            |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული  | 0                 | 0                 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ | 0                 | 0                 |
| <b>ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)</b>                                       | <b>608476</b>     | <b>447767</b>     |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე          | -16648            | -147294           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</b>  | <b>916499</b>     | <b>616026</b>     |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>       | <b>1508327</b>    | <b>916499</b>     |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



## **ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

### **ზოგადი ინფორმაცია**

„ნექსტრა გრუპი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 24 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 402049476.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, იროდიონ ევდოშვილის ქუჩა, N18, სართული 2, საოფისე ფართი N3. კომპანიის 40%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. ლელა ღუდუშაური (პ.ნ. 01006016392); კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. დავითი გორდაძე (პ.ნ. 01030030436).

### **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

#### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

### **მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

### **დაბეგვრა**

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### **შემოსავალი**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 28 სექტემბერს.

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

